



IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

შემოქმედებითი ტურის ჩატარების წესი

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს მიერ 16/02/2022 წ. - ოქმი №2 (დანართი №6)

ამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი
წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე
დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების
განხორციელებას.

კომპიუტერული მეცნიერებისა
და არქიტექტურის სკოლის
მომზადდა: საბჭო

დაამტკიცა: მმართველი საბჭო

დოკუმენტის No: IBSU.R3I15.G

ვერსია: 1.00

განახლების თარიღი: N/A

შეუმოწმებელი ვერსია

შემოწმებული ვერსია

დამტკიცების თარიღი:

16/01/2023

შპს-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო
განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით.
ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელ
ერთეულს.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები	3
ცვლილებების ნუსხა.....	4
მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	5
მუხლი 2. შემოქმედებითი ტურის ადმინისტრირება.....	5
მუხლი 3. შემოქმედებითი ტურისგან გათავისუფლების საფუძვლები.....	5
მუხლი 4. შემოქმედებითი ტურის შეფასების მეთოდი და კრიტერიუმები	6
მუხლი 5. დასკვნითი დებულებები	7



შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის №	თარიღი
1.			

თავდაპირველი რედაქცია: 16.01.2023



IBSU

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01			

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. ეს წესი ადგენს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“/„იბსუ“) არქიტექტურის ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შემდგომში („არქიტექტურის პროგრამა“) შემოქმედებითი ტურის ჩატარების წესსა და პირობებს.
- 1.2. წინამდებარე წესის მიზნებისათვის, შემოქმედებითი ტური გულისმობს გასაუბრებას ხატვაში. აბიტურიენტი (მათ შორის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირი), რომელიც გამოხატავს სურვილს ჩაირიცხოს იბსუში, ასევე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც გამოხატავს სურვილს იბსუ-ში გადმოვიდეს მობილობის წესით არქიტექტურის პროგრამაზე ვალდებულია გაიაროს შემოქმედებითი ტური.
- 1.3. შემოქმედებითი ტურის წარმატებით გასვლის შემთხვევაში, წინამდებარე წესის 1.2 პუნქტით განსაზღვრული პირი არქიტექტურის პროგრამაზე ირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. შემოქმედებითი ტურის ადმინისტრირება

- 2.1. შემოქმედებითი ტურის ჩატარების მიზნით, იბსუ-ს კომპიუტერული მეცნიერებისა და არქიტექტურის სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება კომისია. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
- 2.2. კომისიის შემადგენლობაში შედიან დარგის სულ მცირე 4 (ოთხი) სპეციალისტი.

მუხლი 3. შემოქმედებითი ტურისგან გათავისუფლების საფუძვლები

- 3.1. კანდიდატი თავისუფლდება შემოქმედებითი ტურისაგან:
 - 3.1.1. თუ მობილობის მსურველ სტუდენტს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი აქვს შემოქმედებითი ტური ხატვაში და/ან უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხურზე გავლილ აქვს ხატვა ან ხატვასთან დაკავშირებული სასწავლო კომპონტი.

მუხლი 4. შემოქმედებითი ტურის შეფასების მეთოდი და კრიტერიუმები

- 4.1. კომისია კანდიდატს აფასებს R3I15F1-ით განსაზღვრული რუბრიკის მიხედვით.
- 4.2. კანდიდატის მიერ შემოქმედებითი ტური წარმატებით გავლილად ჩაითვლება, თუ მის მიერ მიღებულ ქულათა რაოდენობამ შეადგინა 51 ან მეტი ქულა.
- 4.3. შემოქმედებითი ტურის ფარგლებში მოქმდება ნატურაში მოცემული საგნის აგებისა და გრაფიკულად შესრულების უნარ-ჩვევები.
- 4.4. კანდიდატმა კომისიას უნდა წარუდგინოს საკუთარი ხელით, შავი ფერის ფანქრით თეთრ ფურცელზე შესრულებული:
 - ა) გეომეტრიული ფიგურის (კუბი, სფერო, პირამიდა, კონუსი, პარალელეპიპედი, ცილინდრი ან სხვა) სულ მცირე 2 (ორი) ნახატი და
 - ბ) ნებისმიერი სახის არქიტექტურული ობიექტის სულ მცირე 2 (ორი) გრაფიკული ჩანახატი (R3I15F1).
- 4.5. კანდიდატი კომისიის წევრების თანდასწრებით დამატებით ასრულებს მის მიერ წარმოდგენილი ნამუშევრებიდან (4.4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნამუშევრების თითო-თითო მცირე ფრაგმენტს.
- 4.6. კანდიდატს ეძლევა 60 წუთი, კომისიის წინაშე ორივე დავალების შესასრულებლად.
- 4.7. კომისია კანდიდატის მიერ შესრულებულ სამუშაოს აფასებს R3I15F2-ით განსაზღვრული რუბრიკის მიხედვით.
- 4.8. კომისიის მიერ ფასდება სულ მცირე 6 (ექვსი) ნამუშევარი. თითო ნამუშევრის შეფასების მაქსიმალური ქულა არის 10. კანდიდატის მიერ მიღებული ქულების მაქსიმალური ოდენობა არის 60 ქულა.
- 4.9. კანდიდატის მიერ შემოქმედებითი ტური წარმატებით გავლილად ჩაითვლება, თუ მის მიერ მიღებულ ქულათა რაოდენობამ შეადგინა 40 ან მეტი ქულა.
- 4.10. კანდიდატის მიერ 4.5 პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში, 4.4 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოს შეფასება ნულდება.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

- 5.1. საკითხები რაც არ არის განსაზღვრული წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სხვა დებულებების მოთხოვნების შესაბამისად.
- 5.2. წინამდებარე წესის შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით.

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შხსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

შხსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131

თბილისი, საქართველო

www.ibsu.edu.ge

contact@ibsu.edu.ge

